აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი

giorgi anTaZe

საქართველოს სტრატეგიული დილემა

ნაშრომი მომზადდა აიბი ევრო–კავკასიური უნივერსიტეტის
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე
ხელმძღვანელი: პროფ. დ. თევზაძე

თბილისი, საქართველო, 20/08/2013w

შესავალი

„ნებისმიერი თეორიის უმთავრესი დანიშნულებაა ნათელი მოფინოს ბურუსითა და გაურკვევლობით მოცულ იდეებსა და კონცეფციებს. სანამ ეს ცნებები და იდეები არ იქნება სათანადოდ განმარტებული, მანამდე რთულია დასმული შეკითხვების ნათლად გააზრება და მკითხველსაც გაუჭირდება გაიაზროს ვინმეს ხედვები“.[1]

ცნობილი პრუსიელი სამხედრო თეორეტიკოსის, კ. ფ. კლაუზევიცის სწორედ ამ მაქსიმას გადმოსახედიდან ავაწყობთ ჩვენს მსჯელობას, საქართველოს სტრატეგიული დილემის და ნაშრომში განხილული სხვა თემატიკის ირგვლივ.

დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს არსებობა მისი ჩასახვიდანვე რამდენიმე მნიშვნელოვანი საფრთხისა და გამოწვევის წინაშე აღმოჩდა, რის მაგალითებიც ქვეყნის უახლოეს ისტორიაში მრავლად მოიძებნება. დღეს საქართველო მისი რთული გეოპოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე საკმაოდ მყიფე უსაფრთხოების გარემოში იმყოფება. ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესია მშვიდობიანი განვითარება და სტაბილურობა. ამდაგვარი განვითარების პირობების შექმნა, კი იმაზე გაცილებით რთული შეიძლება აღმოჩნდეს ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

მნიშვნელოვანი საკითხია ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის ვექტორი და ის შესაძლო ზეგავლენა, რომელიც ამა თუ იმ არჩევანმა სახელმწიფოს უსაფრთხოების ალგორითმზე შეიძლება მოახდინოს. საქართველოს შიდა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სივრცეში ყველაზე აქტიურად ორი ასეთი ვექტორი განიხილება, ესენია ე.წ. „პროდასავლური“ და „პრორუსული“ კურსები, რომელიც თავის თავში რადიკალურად განსხვავებულ ხედვებს გულისხმობს ქვეყნის მომავალ განვითარებასთან დაკავშირებით.

ნაშრომის მიზანია, განვიხილოთ თითოეული ვექტორის დადებითი და უარყოფითი მხარეები, გავარკვიოთ თუ რას იძლევა თითოეული არჩევანი საქართველოს სტაბილური და უსაფრთხო განვითარებისათვის და რამდენად შესაძლებელია ამ არჩევანზე აიგოს ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონკრეტული ხედვა. მასში უნდა ჩანდეს საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკა, თუ როგორ აღიქვამს იგი მისთვის უსაფრთხო გარემოს და როგორია მისი ინტერესების დაცვის ლოგიკა ასეთ გარემოში.

განვიხილავთ ისეთ ცნებებს, როგორებიცაა- დიდი სტრატეგია, სტრატეგიის ფორმულირება, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია და ა.შ.

მსჯელობას ზოგადად უსაფრთხოებაზე და ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაზე საუბრით დავიწყებთ, ვინაიდან დილემა რომელიც ზემოთ ვახსენეთ, თავისი არსით სწორედ სტრატეგიული მნიშვნელობისაა.

ნაწილი პირველი

ეროვნული უსაფრთხოება და მასთან დაკავშირებული სტრატეგიული დოკუმენტები

„სიტყვა სტრატეგია ბევრ განსხვავებულ კონტექსტში იხმარება. არსებობს ბიზნეს სტრატეგიები, ფინანსური სტრატეგიები, სწავლებისა თუ კვლევის სტრატეგიები...ორგანიზაცია იმუშავებს სტრატეგიას მიზი მიზნებისა და მისიიდან გამომდინარე. ეს არის მომავლის ხედვა, ორგანიზაციის ადგილის ხედვა მომავალში და მის განკარგულებაში მყოფი სხვადასხვა ალტერნატივების შეფასება არსებული შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით... გააზრებული, თანმიმდევრული სტრატეგიის შემუშავება უმნიშვნელოვანესია ეროვნული უსაფრთხოებისათვის, როგორც მშვიდობის ასევე ომის გადმოსახედიდან.“ - **მაკუბინ ტომას ოუენსი**[2]

21-ე საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში არსებული სახელმწიფოებისათვის, უსაფრთხოება და ამ უსაფრთხოების ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში ინსტიტუციონალიზაცია, სერიოზულ საზრუნავს წარმოადგენს. ეს საჭიროება მოითხოვეს შემუშავებულ იქნას ნაციონალური, ეროვნული დონის ცალკეული სტრატეგიები, რომლებიც შექმნილია იმ მიზნებით, რომელიც ამა თუ იმ აქტორს საშუალებას აძლევს ეროვნული უსაფრთხოებისათვის საჭირო და მისაღები კონდიციები იქნას მიღწეული, იმ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში, რომელშიც იგი იმყოფება.

გარკვეულწილად შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოებს ყოველთვის ქონდათ გარკვეული სტრატეგიული ხედვები და სტრატეგიებიც, რომელთაც უმაღლეს სტრატეგიულ, თუ ეროვნულ დონეზე გამოიყენებდნენ. ეს აუცილებლად არ ნიშნავს, იმას რომ ეს სტრატეგიები „ცუდი“ ან „კარგი“, ანდაც საჭირო დროს იყო. მაგრამ პერიოდულად ისინი არსებობდნენ ამა თუ იმ ფორმით მთელი ისტორიის მანძილზე.

უმრავლესობა ამ სტრატეგიებისა ფორმალურ დოკუმენტებში და მეტწილად გასაიდუმლოებული და საზოგადოებისათვის მიუწვდომელი იყო. ბოლო წლების განმავლობაში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიასთან დაკავშირებული მთელი რიგი დოკუმენტები იქმნება. მათი მიზანია, ეროვნული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული სახელმწიფოებრივი მიდგომების ინსტიტუციონალიზაცია. დემოკრატიული ქვეყნებში ეს პროცესი ღიაა როგორც საკუთარი საზოგადოების, ისე გარე აუდიტორიისათვის.

ეროვნული უსაფრთხოების და სხვადასხვა სტრატეგიული დოკუმენტების საკითხთა საზოგადოებისათვის ღია სამსჯავროზე გამოტანა რამდენიმე მიზეზით ხდება.

1. ისინი სამთავრობო სტრუქტურებისათვის წარმოადგენს ფართო საერთო ბაზისს და აჩვენებენ, რომ ამ სტრუქტურებს ნამდვილად ესმით ჩანაფიქრები და მიზნები (როგორც მიდგომა ან მიმართულება) რომელიც არჩეულ მართველ ლიდერშიპს ეროვნული უსაფრთხოებასთან მიმართებაში გააჩნია. მარტივად, რომ ვთქვათ, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც **„დემოკრატიული მთავრობის აღმასრულებელი ხელისუფლების საორიენტაციო დოკუმენტი, რომელიც შექმნილია შიდა**

კონსენსუსის შესაქმნელად ქვეყნის საგარეო, თავდაცვის, დიპლომატიური, თუ ეკონომიკური სტრატეგიების შესახებ“.[3]

2. ამ სტრატეგიებს შეუძლიათ დემოკრატიულ საზოგადოებაში საკანონმდებლო ორგანოს ინფორმირება, „თუ რა რესურსებს მოითხოვენ ისინი და ამით ხელი შეუწყონ მათი ფისკალურ უზრუნველყოფის სანქციონირებასა და ასიგნირებას.“[4]
3. დოკუმენტებს გააჩნიათ ფუნქცია, წარმოადგენდნენ სტრატეგიული კომუნიკაციის ინსტრუმენტს საშინაო და საგარეო აუდიტორიისათვის. ეს აუდიენცია მოიცავს დემოკრატიული ქვეყნის როგორც ადგილობრივ კომპონენტებს, ასევე მიმართული შეიძლება იყოს საერთაშორისო ურთიერთობების ისეთი აქტორების მისამართით, რომელიც მოიაზრება აღნიშნული ქვეყნისათვის საფრთხის შემქმნელ სუბიექტად. აუდიტორიის თითოეული ეს წევრი შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს იმ პრობლემათა ცვლილებების გამო, რომელთაც დოკუმენტის შემქმნელი სახელმწიფო უსაფრთხოების კუთხით აწყდება.

სწორედ ამდაგვარი სააზროვნო პროცესიდან არის ის დილემაც, რომელიც ჩვენ ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ.

ეროვნული უსაფრთხოების განმარტებისათვის

ეროვნული უსაფრთხოების იდეა პირდაპირ არის დაკავშირებული იმასთან, თუ როგორ გვესმის ნაციისა, თუ სახელმწიფოს უსაფრთხოება და ურთიერთკავშირი რომელიც მათ შორის არსებობს. ეროვნული უსაფრთხოების გაგება შეიძლება არ ნიშნავდეს ერთსა და იმავეს სხვადასხვა ხალხებისა, თუ სახელმწიფოებისათვის, უფრო მეტიც, შეიძლება იგი განსხვავებულად აღიქმებოდეს ერთი სახელმწიფოს სხვადასხვა ინსტიტუციების მიერ. ამ აზრთა სხვადასხვაობის მიზეზები განსხვავებულია. უმთავრესი მიზეზი მაინც ნაციონალური ინტერესების განსხვავებული პერსპექტივებიდან ხედვაა. ეს პერსპექტივები კი, თავის მხრივ განუყოფელი ნაწილია ამა თუ იმ სახელმწიფოს სტრატეგიული კულტურისა.

უსაფრთხოებას, როგორც ცალკეულ ცნებას, თავად გააჩნია უამრავი ინტერპრეტაცია, თუმცა როდესაც საუბარი მიდის ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე, ტერმინი მეტწილად ფასეულობების, ეროვნული ღირებულებების დონეს ეხმიანება. იმ **„შიშისგან“ და საფრთხეებისგან დაცულობის დონეს** აღნიშნავს, რომელიც ამ ღირებულებებზე შეტევას თუ მათ ხელყოფას გულისხმობს.

ვოლტერ ლიპმანი, ცნობილი ამერიკელი მოაზროვნე, „ცივი ომის“ იდეოლოგიის ერთ-ერთი ავტორი, არაერთი ამერიკელი პრეზიდენტის არაფორმალური მრჩეველი, უსაფრთხოების მიღწევას ასე აღწერდა: **„ნაციის, სახელმწიფოს არსებობა მაშინ არის დაცული, თუ მას არ უწევს ძირეული ფასეულობების დათმობა ომის თავიდან აცილების მიზნით და ამ გამოწვევის არსებობის შემთხვევაში, აქვს უნარი დაიცვას ფასეულობები ასეთ ომში გამარჯვებით“**.[5]

ეროვნული უსაფრთხოების ეს განმარტება შეიძლება თავისი ეპოქის (1943 წ) სუნს ატარებდეს, მაგრამ გასააზრებლად მაინც საინტერესოა. ქვემოთ შევეცდებით უფრო ფართოდ წარმოვადგინოთ უსაფრთხოება, ვიდრე მხოლოდ ომის საკითხი, ან ძალის

სამხედრო ინსტრუმენტი, ვინაიდან დროთა განმავლობაში უსაფრთხოების იდეა საერთაშორისო სისტემაში გაფართოვდა და თავის თავში მოიცავს როგორც ქვეყნის სამხედრო და თავდაცვით უსაფრთხოებას, ასევე ზოგადად სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოებისა და ინდივიდუალური ადამიანის უსაფრთხოებას. 21-ე საუკუნეში უსაფრთხოება განიხილება სახელმწიფოს და საზოგადოების ერთი მთლიანობის კუთხით და მოიცავს ასევე ტრანსნაციონალურ საკითხებს, დაწყებული ენერგეტიკული უსაფრთხოების, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების, საერთაშორისო ტერორიზმის საკითხებით და დამთავრებული კლიმატური ცვლილებებით, თუ გლობალური სიღარიბის პრობლემებით.

არსებობს რამდენიმე შეკითხვა, რომელიც უსაფრთხოების თემასთან დაკავშირებით შეიძლება დაისვას.

- უსაფრთხოება ვისგან და რისგან?
- უსაფრთხოება რომელი ფასეულობებისათვის?
- რა დონის უსაფრთხოება?
- რა საფრთხეებისგან?
- უსაფრთხოება რა საშუალებებით?
- რის საფასურად?
- დროის რა პერიოდში?

სახელმწიფოებრივი, თუ ეროვნული გადმოსახედიდან, ეს კითხვები შეიძლება ასე იქნას გააზრებული.

- როგორ უნდა იყოს ეროვნული ფასეულობები/ღირებულებები დაცული; განისაზღვროს სპეციფიკური ღირებულებები რომლებიც უნდა იქნას აქცენტირებული; უსაფრთხოების დონე რომელიც უნდა იქნას მიღწეული;
- საფრთხეების ხასიათი რომელისკენაც უსაფრთხოება უნდა იყოს მიმართული;
- საშუალებები რომლებიც საჭიროა ამ საფრთხეების გასამკლავებლად და გაღებული საფასურის დონე;
- დროის რელევანტური პერიოდი რომელიც საჭიროა ამ ყველაფრისთვის;

პასუხები, რომლებიც ამ შეკითხვებში ნაციონალური, ეროვნული პასუხების მოძებნის შემდგომ იქნება მოცემული, დაეხმარება სახელმწიფოს რეალურად განსაზღვროს, თუ რას შეიძლება გულისხმობდეს მისთვის სიტყვა უსაფრთხოება.

ამ პასუხების განსაზღვრაზე დიდი ზეგავლენა ექნება ასევე , იმას თუ სახელმწიფოს სხვადასხვა აქტანტები, როგორ ახდენენ **ნაციონალური, ეროვნული ინტერესების** დეფინიციას და როგორია ამ ქვეყნის სტრატეგიული კულტურა.

ნაციონალური-ეროვნული ინტერესი, ეს არის ის სასურველი რამ, გარკვეული „რეალობა“, მდგომარეობა სასურველი მიზნების რეალიზაციისთვის. **„ის რაც არის ერის მიერ შემეცნებული საჭიროებები-სურვილები და იმედები საერთაშორისო გარემოსთან მიამრთებაში“.**[6]

ზემოთ მოცემული მიზნის მიღწევა არის ის რაღაც, რასაც სახელმწიფოს აზრით დადებითი ზეგავლენა ექნება მასზე. ინტერესის რეალიზაციას შეუძლია გაზარდოს იმავე სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური, უსაფრთხოების, არსებობის გარემოს, ანდაც სულაც მორალური კეთილდღეობა. ინტერესები უმნიშვნელოვანესია

იმ მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრისას, რომელიც თავის მხრივ შემდგომ წარმოადგენენ უკვე ამა თუ იმ პოლიტიკის (policy- გ.ა.), თუ სტრატეგისათვის ორიენტირ სამიზნეებს.

ეროვნული ინტერესები, ასევე გვეხმარება განისაზღვროს ეროვნული ძალისხმევის რა რაოდენობა, ანდა სახეობა უნდა იქნას გაღებული, როგორც პოლიტიკისა, თუ სტრატეგიის იმპლემენტაციის საშუალება.

ბუნებრივია, ინტერესების კონცეპტი, ცნება არ არის რაიმე ახალი 21-ე საუკუნის საერთაშორისო სისტემისათვის. ის ყოველთვის იყო სისტემის თითოეული აქტორის უმთავრესი ზრუნვის საგანი. ეს ინტერესები შეიძლება ორიენტირებული იყოს სუბიექტის როგორც პირად უსაფრთხოებაზე, ანდა ძალაუფლების გაღრმავებაზე, ასევე განპირობებული იყოს ფასეულობებისგან რომლებიც მიმართულია საერთაშორისო სისტემის რომელიმე ნაწილის, ანდა მთლიანად სისტემის კეთილდღეობისაკენ. ასევე სუბიექტს შეიძლება გარკვეული სუბორდინაციის დაცვა დასჭირდეს ინტერესთა განსაზღვრისას, ვინაიდან შესაძლებელია მხოლოდ მაშინ იქნას სარგებელი მიღებული ამ ინტერესებიდან, როდესაც ისინი საერთაშორისო სისტემის რომელიმე სხვა აქტორის ინტერესებს ითვალისწინებს.

აქვე აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ინტერესები როგორც წესი, კატეგორიზირებულია და განსაზღვრულია ინტენსიურობისა და პრიორიტეტულობის მიხედვით. აკადემიურ ნაწერებში ინტერესებზე საუბრისას ხშირად გამოიყენება შემდეგი ტერმინები: **გადარჩენა, სასიცოცხლო, კრიტიკული, მთავარი, სერიოზული, მეორადი, ნაკლებად მნიშვნელოვანი, ექსტრემალურად მნიშვნელოვანი, ჰუმანიტარული, პერიფერიული და ა.შ.** მათი კატეგორიზირება ხდება ასევე სუბიექტის და მისი ინტერესების ქრონოლოგიური ურთიერთკავშირის მნიშვნელობის მიხედვითაც (გრძელვადიანი-ახლო ვადიანი გავლენა);

ამ პროცესების წარმართვაზე უდიდესი მნიშვნელობა და ზეგავლენა აქვს სახელმწიფოს სტრატეგიულ კულტურას. იგი შეიძლება განმარტებულ იქნას, როგორც: **„გააზრებული წარმოდგენების, ვარაუდების და ქცევის ფორმების გარკვეული მოცემულობა, გამომდინარე საერთო გამოცდილებისა და მიღებული ნორმებისგან (როგორც წერითი, ისე ვერბალური) რომლებიც აყალიბებენ კოლექტიურ იდენტობას და ურთიერთობებს სახელმწიფოს სხვადასხვა ელემენტებს შორის და რომელიც განსაზღვრავს მიზნებსა და საშუალებებს უსაფრთხოებისათვის საჭირო ამოცანების მისაღწევად“.**[7] ამ პროცეს ღრმა კავშირი აქვს ქვეყნის ისტორიულ მეხსიერებასთან და განპირობებულია უამრავი მომენტით, რომელიც ამ ქვეყნას მისი ისტორიული გზის გავლის დროს უჩნდება. შეიძლება ითქვას, რომ იგი ქვეყნის გარკვეული სტრატეგიული გონია.

უფრო მარტივად კი: გეოგრაფია და რესურსები, ისტორია და გამოცდილება, საზოგადოება და პოლიტიკური სტრუქტურა, ქმნის სახელმწიფოს სტრატეგიულ კულტურას.

სტრატეგიულ კულტურას, ეროვნული ინტერესების კომბინაციას და ქვეყნის წარმოდგენას იმაზე, თუ რა შეიძლება იყოს მისი უსაფრთხოების საზრუნავი, მივყავართ იმისკენ, თუ რა იგულისხმება ეროვნული უსაფრთხოების იდეაში სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ნაწილისათვის.

ზოგიერთი ქვეყანა ეროვნულ უსაფრთხოებას გლობალურ ბაზისზე ხედავს, სხვები რეგიონალურზე და მესამენი კი ფოკუსირებულები არიან საკუთარი საზღვრებისა და მის შიგნით უსაფრთხოების საკითხებზე. მას შემდეგ რაც, ეს ყველაფერი

განსაზღვრულია, შემდეგი ნაბიჯი არის ამ გააზრებული „ეროვნული“ და უსაფრთხოების“ ცნებების დაკავშირება სტრატეგიის კონცეფტთან.

სტრატეგია, პოლიტიკისგან განსხვავებით, რომელიც პასუხობს კითხვაზე- რა გაკეთდეს რაიმის შესახებ, ან რატომ უნდა იქნას ეს რაიმე გაკეთებული, არის პასუხი კითხვაზე, თუ როგორ უნდა იქნას იმპლემენტირებული ან გატარებული ეს პოლიტიკა. ეს არის პასუხი კითხვაზე- როგორ გაკეთდეს ესა თუ ის რამ. ეს არის- **„ პოლიტიკის მიზნების მისაღწევად გამოყოფილი შესაძლებლობების გეგმა“.**[8]

აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტი ასე განსაზღვრავს მას: **„სინქრონიზებული და ინტეგრირებული სახით ეროვნული ძალაუფლების გამოყენების კეთილგონივრული (საუკეთესოდ გათვლილი) იდეა ან იდეათა ერთობლიობა თეატრის, ეროვნული ან/და მრავალეროვნული მიზნების მისაღწევად.**“[9]

ზოგადად სტრატეგია- ფორმულირებული ან გათვლილი ურთიერთკავშირია მიზნებსა და საშუალებებს, შესაძლებლობებსა და ჩანაფიქრებს, ძალასა და გამოყენების საზრისს შორის.

სტრატეგია ზომავს: **„თუ რა უნდა ამ სტრატეგიის ავტორს (მიზნები) რომ არსებული რესურსების საშუალებებით (შესაძლებლობები) მიიღოს სასურველი (მიზნის მიღწევა).**[10]

სახელმწიფოს შემთხვევაში, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია ემსახურება ქვეყნის მცდელობას მიაღწიოს საუკეთესოს საკუთარი უსაფრთხოებისათვის.

ამ ყოველივეს ემსახურება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია და მისგან გამომდინარე სხვადასხვა სახის პოლიტიკები, თუ სტრატეგიები.

არსებობს ამ ტერმინის არა ერთი დეფინიცია. ერთ-ერთის მიხედვით ტერმინი - „ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია“ აღწერს ***„დაგეგმილ, სისტემატიზებულ და რაციონალურ პროცესს, რომელიც შემუშავებულია ძლიერი ლიდერების, ორგანიზაციული კულტურების და სამთავრობო სტრუქტურების მიერ“.*** [11]

სხვადასხვა განმარტებათა ანალიზიდან გამომდინარე, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია შესაძლოა გაგებული იქნას, როგორც: **„ერის (სახელმწიფოს) პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური, ინფორმაციული და სამხედრო ძალაუფლების გამოყენების მეცნიერება და ხელოვნება, შეთანხმებული სახელმწიფო პოლიტიკასთან, რის შედეგადაც იქმნება პირობები ეროვნული ინტერესების დაცვისა და განვითარებისათვის სხვა ერებთან, აქტორებთან ან პირობებთან და ვითარებასთან მიმართებაში“.**[12]

ამ პროცესის მიზანია ქვეყნის მიერ დაწერილი საჯარო, ოფიციალური დეკლარირება მოახდინოს იმ ხედვისა, რის მეშვეობითაც იგი აპირებს საკუთარი უსაფრთხოების მიზნების მიღწევას, როგორც საერთაშორისო სისტემაში, ასევე ქვეყნის ფარგლებს შიგნით. ამისთვისა არის ყველა ის ოფიციალური სტრატეგია რომელიც სახელმწიფოს მიერ არის შემუშავებული. აქვე უნდა აღინიშნოს რომ არსებობს ფორმალური სტრატეგიული დოკუმენტების რამდენიმე სახეობა, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების საკითხებს ეხება. ამდაგვარი დოკუმენტების ყველაზე ცნობილი მაგალითებია: *იგივე ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი, ეროვნული თავდაცვის სტრატეგია ან სამხედრო სტრატეგია.* აქედან სწორედ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია არის ყველაზე მოცულობითი თავისი და შინაარსით.

- მას არა ერთი დანიშნულება გააჩნია: არსებული და მომავლის უსაფრთხოების გარემოსთან სტრატეგიული კომუნიკაციის ინსტრუმენტის როლი; წარმოადგენს ეროვნული ღირებულებებისა და ქვეყნის საფრთხეების ღრმა ანალიზს;
- კონსოლიდაციას უკეთებს მთავრობის, ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ხედვებს;
- წარმოადგენს პრიორიტეტიზირებულ, გაზომვად და დროში გაწერილ ამოცანებსა და მიზნებს;
- იდენტიფიცირებას უკეთებს იმ საერთაშორისო და ადგილობრივი ფაქტორებს და ტრენდებს, ან კოოპერატიულ შესაძლებლობებს, რომელთაც შეუძლიათ დასახული მიზნების მიღწევაზე ზეგავლენის მოხდენა.

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტრატეგიის ერთიან სამთავრობო მიდგომების ჩამოყალიბებაში შეიცავს ხელისუფლების ყველა შესაბამის შტოსა და სტრუქტურას. ახდენს მოქმედებათა კურსისა და რესურსების (გზები და საშუალებები) მობილიზებას და იდენტიფიცირებას დასახული მიზნების მისაღწევად; წარმოადგენს სტრატეგიის იმპლემენტაციის პროცესში სამთავრობო სტრუქტურების გზამკვლევს მათი პასუხისმგებლობაში მყოფი მიმართულებების დაგეგმვა, ორგანიზება, დაფინანსებისათვის.

უმნიშვნელოვანესი შეკითხვა, რომელიც სტრატეგიის ავტორების წინაშე ისმევა, წარმოადგენს იმას, თუ როგორ განიხილება სტრატეგია თავიდან. როგორც რეალისტური სტრატეგია რომელსაც გააჩნია არსებული რესურსებით დასახული მიზნების მიღწევის საშუალება, თუ უფრო როგორც სტრატეგიული კომუნიკაციის ინსტრუმენტი, რომელიც ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოების ფოკუსის დეკლარირებას მოახდენს საგარეო და საშინაო აქტიორებისათვის.

ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი ყველა სახის ეროვნული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტები შეიძლება დაჯგუფებული იქნას იერარქიულად. ეროვნული უსაფრთხოების ფორმულირების პროცესში თითოეულ დონეზე დოკუმენტებს შორის არსებობს ურთიერთკავშირი. **„თითოეული დონის დოკუმენტის ლოგიკა განსაზღვრულია- იყოს ქვემდებარეს სახელმძღვანელო და ზემდგომს დაქვემდებარებული.“**[13]

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, დიდ სტრატეგიასთან ერთად წარმოადგენს სტრატეგიულ ორიენტირს, სტანდარტს ყველა სხვა სუბორდინაციულ დოკუმენტებს შორის. ეს დოკუმენტები არიან/ან უნდა ლოგიკურად დაკავშირებული ან/და გამომდინარეობდნენ მისგან.

ეროვნული ინტერესები რომელიც ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაშია მოცემულია, ეხმარება სხვა დამხმარე ფუნქციონალური სტრატეგიების ორიენტირებას.

ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგის ფორმულირების პროცესი

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კითხვა, რომელი შემდგომ უნდა დაისვას, მდგომარეობს შემდეგში- არსებობს თუ არა საუკეთესო გზა ამ დოკუმენტების შექმნისა და რა რისკებს შეიძლება შეიცავდეს ეს პროცესი?

მაგალითისთვის, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის შექმნა როგორც წესი მულტიდისციპლინარული და მულტისტრუქტურული პროცესია. თუ ეს პროცესი არ შეიცავს ყველა საჭირო სამთავრობო შტოს მონაწილეობას, მაშინ სტრატეგია გარკვეულ ცდომილებებს შეიძლება შეიცავდეს. ამ გადმოსახედიდან ხელისუფლების არცერთი შტოს ცალკე არ ექნება უნარი აითვისოს უსაფრთხოების გარემო იმდაგვარად, რომ საკმარისი იყოს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ან მისი დაქვემდებარებული დოკუმენტების შექმნისათვის. **ამ რისკის გააზრებამ, რომელიც აღნიშნული დოკუმენტების შექმნას თან სდევს, შეუძლია გაუადვილოს სტრატეგიის ინიციატორებს, მისი მიზნების მიღწევის საერთო უნარის გააზრებაში.**

არის მეორე პრობლემა. მაგალითად როდესაც დოკუმენტის შემუშავებაზე მიმართულია ხელისუფლების მთელი ძალისხმევა. ასეთ დროს მისი თითოეული შტო, ორგანო, გარკვეულწილად თავის გადმოსახედიდან ხედავს უმთავრესი ამოცანების მიღწევის არამარტო საშუალებებსა და გზებს, არამედ თითონ მიზნებსაც, რაც ქმნის რიკს, რომ აღნიშულ პროცესში დაიკარგება ის მთავარი სტრატეგიული სამიზნეები, რისკენაც დოკუმენტი უნდა იყოს მიმართული. მეორეს მხრივ, დოკუმენტზე მხოლოდ ადამიათა შეზღუდული რაოდენობის მუშაობის შემთხვევაში, ხელისუფლების სხვადასხვა რგოლების თანამონაწილეობის გარეშე, არსებობს ალბათობა, რომ იქნება ცდომილება მიზნებს, გზებსა და რეალურ საშუალებებს შორის სტრატეგიული ჩანაფიქრების განხორციელების გზაზე. ყოველივეს გათვალისწინებით ინდივიდუალებს რომლებიც ამ პროცესში იქნებიან ჩართული ხელისუფლების სხვადასხვა შტოებთან ერთად, მოუწევთ კარგად აწონ დაწონონ რისკები და იპოვონ მისაღები გამოსავალი.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული უსაფრთხოებისა და სამხედრო სტრატეგიის ფარგლებში აუცილებელია სტრატეგიის ნორმატიული განმარტების არსებობაც, რაც ინსტიტუციონალურს გახდის სტრატეგიის ფორმულირებისა და იმპლემენტაციის პროცესს. ამას პირველ რიგში ის მიზანი აქვს, რომ გამჭვირვალე და კონტროლირებადი გახდეს ეროვნული უსაფრთხოების გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი და ამასთან ერთად, აღსრულება მიყვება ვერტიკალს - ეროვნული ღირებულებებიდან კონკრეტულ საბრძოლო ოპერაციებამდე ან/და საგარეო პოლიტიკურ აქციამდე.

როგორც ვხედავთ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების პროცესს არა ერთი სირთულე ახლავს თავს. აქედან გამომდინარე, საინტერესოა არსებობს თუ არა სტრატეგიის ფორმულირების აპრობირებული მოდელები, რომლებიც ასახავენ ჩვენს მიერ ზემოდ განხილულ პროცესებს.

მოდელი სტრატეგიის ფორმულირებისათვის

„სტრატეგიის უმთავრესი პრინციპები იმდენად მარტივია, რომ მისი გაგება ბავშვსაც შეუძლია. მაგრამ ამ პრინციპების შესაბამისი გამოყენება მოცემულ სიტუაციასთან მიმართებაში ურთულეს სამუშაოს მოითხოვს“ - დუაიტ ეიზენჰაუერი[14]

როგორც ვნახეთ სტრატეგია სამი მარტივი კომპონენტის ურთიერთქმედებისაგან შედგება: **მიზნები, გზები და საშუალებები.** ამ თვალსაზრისით ის უმარტივესია. ამასთან ერთად, როგორც სტრატეგიის ფორმულირების სხვადასხვა ასპექტის

განხილვისას გამოჩნდა, ეს სამი კომპონენტი ვარიაციების თითქმის უსასრულო სიმრავლეს ქმნის, რომელთაგან მნიშვნელოვანი ნაწილი ხშირად არ ექვემდებარება გაზომვას და ხანდახან არც კი არის ხელშესახები. ჩნდება უამრავი ფაქტორი და დაბრკოლება რომელიც გააზრებასა და დაფიქრებას საჭიროებს. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით სტრატეგია უფრო ხელოვნებაა, ვიდრე მეცნიერება. ამასთან ერთად, ის ასევე თავისებურად მეცნიერულიც არის იმ გაგებით, რომ ექვემდებარება ანალიზს და მოდელირებას, რაც მოითხოვს საერთო ტერმინოლოგიის და პრინციპების დაცვას და დისციპლინირებულ, მაგრამ შემოქმედებით აზროვნებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ფორმულები არ იძლევიან პირდაპირ, აწონილ პასუხებს და არც გამოიყენებიან ისე, როგორც ჩვენ მათემატიკურ ფორმულებს ვიყენებთ.

ერთ-ერთი ასეთი მოდელი და შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე აპრობირებული და მიღებული, აშშ-ის არმიის ომის კოლეჯის მოდელია, სადაც თანმიმდევრული მოქმედებების ფორმით არის გადმოცემული ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ფორმულირების მეტ-ნაკლებად სრული სურათი.[15]

ფორმულირების პროცესის ალგორითმი ამდაგვარად გამოიყურება:

- ეროვნული ინტერესების იდენტიფიკაცია;
- თითოეული ინტერესისათვის ინტენსივობის ხარისხის მინიჭება;
- სტრატეგიული გარემოს (პრობლემების, ტენდენციების, საფრთხეების, გამოწვევებისა და შესაძლებლობების) ანალიზი ინტერესებთან მიმართებაში;
- ეროვნული მიზნების ჩამოყალიბება ;
- სხვადასხვა ალტერნატიული კონცეფციის (გზების) გააზრება და განხილვა ხელმისაწვდომი ან საჭირო რესურსების ფარგლებში დასახული მიზნების მისაღწევად;
- ყველა გააზრებული სტრატეგიული გადაწყვეტილებისთვის განისაზღვროს არის თუ არა ის:
    - **შესაძლებელი – გვაქვს თუ არა საშუალებები რომ აღვასრულოთ კონცეფცია;**
    - **მისაღები – აქვს თუ არა საშინაო მხარდაჭერა, არის თუ არა კანონიერი, ეთიკური, ღირს თუ არა საფასური რაც უნდა გადავიხადოთ;**
    - **შესაბამისი – მიგვიყვანს თუ არა სასურველ მიზნამდე;**
- რისკების შეფასება;
- რეკომენდაციების შემუშავება;

საბოლოოდ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ფორმულირების პროცესი, პერმანენტული პოლიტიკური პროცესია, რომლის მიზანი უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტრატეგიის დაბალანსებაა. უსაფრთხოების გარემო მუდმივი დინამიკის და ცვალებადობის მატარებელია, ამიტომ მუდმივად უნდა ხდებოდეს მისი შეფასება და გადაფასება: **რამდენად შეესაბამება ეროვნული უსაფრთხოების მიზნები და ამოცანები ეროვნულ ინტერესებს; სახელმწიფო ძალაუფლების რა ელემენტები და ინსტრუმენტები და რანაირად (სტრატეგიული კონცეფციით) უნდა**

იქნას გამოყენებული ამ მიზნების მისაღწევად გადასაჭრელად; არის თუ არა ქვეყანაში არსებული რესურსები საკმარისი.

თუ მიზნები არ იძლევიან ინტერესების რეალიზაციის მაღალ ალბათობას, ან/და კონცეფცია არ უზრუნველყოფს მიზნების მიღწევას, ან/და არასაკმარისია რესურსები, ითვლება რომ სტრატეგია არ არის დაბალანსებული.

- ამ შემთხვევაში ან უსაფრთხოების მთლიანი განტოლება არის გადასახედი, ან უნდა დაუშვათ მაღალი რისკის ალბათობა.
- თუკი ნაციონალურ დონეზე გადაწყდება რომ რისკის დონე მიუღებელია მაშინ სამი გზა არსებობს:

  - შემცირდეს (მოიხსნას) ამოცანა
  - შეიცვალოს კონცეფცია
  - გაიზარდოს რესურსები

პროცესის გრაფიკულად მოდელი ასე შეიძლება გამოიყურებოდეს (იხ. სქემა №1)



როგორც მოდელიდან ჩანს, ფორმულაციის პროცესში, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი იერარქიულად ე.წ. „დიდ სტრატეგიას“ უჭირავს. ჩვენი მსჯელობის გასაგრძელებლად, მიგვაჩნია მართებულად გავარკვიოთ, თუ რას გულისხმობს დიდი სტრატეგია და რა გაგებით გამოვიყენებთ ჩვენს მას ამ ნაშრომში.

დიდი სტრატეგიის ცნების განმარტებისთვის

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს დიდი სტრატეგიის ტერმინის ერთი ყველას მიერ მიღებული დეფინიცია. ბრიტანელი სამხედრო ისტორიკოსმა, სერ ბეზილ ლიდელ ჰარტმა მოახდინა ტერმინის პოპულარიზაცია გასული (XX-ე) საუკუნის შუა წლებში და შეიძლება ითქვას, რომ ტერმინის ყველა შემდგომი დეფინიცია, ამა თუ იმ ფორმით მის ხედვას ეფუძნება, სადაც **„დიდი სტრატეგია მოიცავს, უმაღლესი ეროვნული პოლიტიკის დონეზე მიზნებისა და საშუალებების სინქრონიზაციას“.**[16] (თუმცა აუნდა აღინიშნოს, რომ ლიდელ ჰარტი დიდ სტრატეგის მაინც ომის პერიოდის გადმოსახედიდან აღიქვამს).

აქედან მოყოლებული დიდი სტრატეგიის განმარტებები შეიძლება ითქვას, ხშირ შემთხვევაში გვერდით იხრება და განსხვავდება ცნების ავტორისეული ხედვისგან. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ტერმინი მეტწილად ომის პერიოდის გადაწყვეტილებათა მიღებისა და სამხედრო დაგეგმარებისკენ არის მიმართული; სხვები უფრო ფართოდ განიხილავენ მას და დაჰყავთ მთლიანად საგარეო პოლიტიკის იდენტურ რანგში. ზოგიც დიდი სტრატეგიის იდეას, სისტემური დაგეგმარებისა და დეტალურ დოქტრინებთან ახდენს ასოცირებას.

ამიტომ დიდი სტრატეგიის დეფინიციები ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც ის მკვლევარები თუ პირები, რომლებიც ამ ტერმინს ხშირად არა სათანადო განმარტების გარეშე მიმართავენ თავიანთ კვლევებში.

ის, რომ ტერმინის ამდენი და ხშირად სუბიექტური განმარტებები არსებობს, გვაჩვენებს იმას, რომ ფაქტობრივად შეუძლებელია ერთიანი ყველასათვის მისაღები დეფინიციის შემუშავება. მიგვაჩნია, რომ ასეთ სიტუაციაში საუკეთესო რაც მკვლევარს შეუძლია მდგომარეობს იმაში, რასაც ცნობილი ამერიკელი თეორეტიკოსი კოლინ გრეი- “Right Enough”-ს (საკმარისად სწორი- გ.ა.) ეძახის. ეს არის დეფინიცია, რომელიც ***„არ არის აუცილებელი თითოეულ წინააღმდეგობას მოიცავდეს, არამედ ხაზს უნდა უსვამდეს საგნის საფუძველს და არ შეყავდეს შეცდომაში მკითხველი“.***[17]

ჩვენც შევეცდებით ქვემოთ მოვიყვანოთ ტერმინის ისეთი ხედვა, რომელიც ჩვენი ნაშრომის უმთავრესი კვლევის საგანს ემსახურება და ნათლად იქნება ნაჩვენები ამდაგვარი ხედვის ადგილი და ლოგიკა ჩვენს მსჯელობაში.

თუ დავუბრუნდებით სტრატეგიის ფორმულაციის ზემოთ მოყვანილ მოდელს, ჩვენ დიდ სტრატეგიას ვხედავთ, ***როგორც სახელმწიფოს თეორიას, ან „ლოგიკას“, რომელიც მის უმაღლეს ინტერესებს აკავშირებს გარესამყაროსთან ყოველდღიურ ინტერაქციაში.***

ის მოღვაწეები რომლებიც ახორციელებენ, ქმნიან დიდ სტრატეგიას არ უნდა ახდენენ უბრალო რეაქციას მოვლენებზე და წყვეტდნენ მათ სათითაოდ. ისინი

ოპერირებას უნდა ახდენდნენ, სტრუქტურირებული და ლოგიკურად გააზრებული იდეით, თუ რა სურს მათ ქვეყანას მიაღწიოს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში. ამ ადამიანებს გათავისებული უნდა ქონდეთ თავიანთი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესები, უმთავრესი საფრთხეები და რესურსები და შესაძლებლობები, რომლებიც ამ საფრთხეების ნეიტრალიზებისათვის მათ ხელთ არსებობს. ამ ინტელექტუალური კორელაციიდან გამომდინარეობს პოლიტიკა, სხვადასხვა დიპლომატიური ინიციატივები, ძალის გამოყენებაში და სხვა მოქმედებებში რის მეშვეობითაც სახელმწიფო ურთიერთობს უცხოურ მთავრობებთან და ხალხებთან.

იმისთვის, რომ უფრო ნათელი გავხადოთ საკითხი, აღსანიშნავია, რომ დიდი სტრატეგია არ წარმოადგენს საგარეო პოლიტიკის რომელიმე ასპექტს, ან მთლიანად საგარეო პოლიტიკას. საგარეო პოლიტიკა ხელისუფლების გარესამყაროსთან ინტერაქციის ჯამია. იგი გამოიხატება ინიციატივებსა და ქმედებებში დაწყებული დიპლომატიით, დამთავრებული ძალის გამოყენებით საგარეო მხარდაჭერაში. ამისგან განსხვავებით, დიდი სტრატეგია წარმოადგენს კონცეპტუალურ ლოგიკას, რომელიც აზუსტებს, რომ ზემოთმოყვანილი პოლიტიკური ინსტრუმენტები, გამოიყენება ქვეყნის ფუნდამენტური ინტერესებისათვის მაქსიმალურად სასარგებლოდ. დიდი სტრატეგია ფორმას აძლევს ქვეყნის საგარეო პოლიტიკას, მის დიპლომატიას და ა.შ. იგი წარმოადგენს ინტერესების, საფრთხეების, რესურსებისა და პოლიტიკების ინტეგრირებულ კონცეფციას (კონცეპტუალურ ხედვას). დიდი სტრატეგია - ***ეს არის ინტელექტუალური არქიტექტურა, რომელსაც საგარეო პოლიტიკა აძლევს სტრუქტურასა და ფორმას; იგი ეხმარება სახელმწიფოს, ერს საკუთარი გზა და ადგილი იპოვოს სამყაროში.***

მიგვაჩნია, რომ ***საქართველოს სტრატეგიული დილემა, რომელიც გულისხმობს მისი საგარეო პოლიტიკურ კურსის არჩევანს, დაზუსტებას, მთელი მისი მოსალოდნელი შედეგებით, თავისი მნიშვნელობითა და შინაარსით დიდი სტრატეგიის დონის ამოცანაა.*** დღევანდელ ქართულ რეალობაში ობიექტურად თუ სუბიექტურად, ამდაგვარი კურსის არჩევანი გაიგივებულია ფასეულობით, სახელმწიფოებრივი მოწყობის პრინციპებითა, თუ ეკონომიკური ურთიერთობებით ორ რადიკალურად განსხვავებულ მიმართულებასთან. შესაბამისად ამდაგვარი პერსპექტივიდან დანახული არჩევანი და მისი შესაძლო შედეგები, სახელმწიფოსათვის სწორედ დიდი სტრატეგიის დონის ამოცანაა.

ყოველივე კი საჭიროს ხდის, გააზრებული, რაციონალურ დასკვნებზე დამყარებული სახელმწიფოებრივი ხედვის ჩამოყალიბებას აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში - უფრო კონკრეტულად კი დიდი სტრატეგიის ხედვის შემუშავებას, რომელიც ***შესაძლებელს გახდის საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ფორმულაციას.***

ნაწილი მეორე
საქართველოს სტრატეგიული დილემა

ჩვენ შევეცდებით, ქვემოთ განვიხილოთ საქართველოს წინაშე არსებული ორი გეოპოლიტიკური, სტრატეგიული ვექტორის არჩევანის შინაარსი სტრატეგიული ფორმულაციის პროცესისათვის. ვაჩვენოთ შეიძლება, თუ არა ახლო მომავალზე გათვლილი ნათელი სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხო განვითარების შესაძლებლობას.

დილემის შინაარსი ორი ხაზისგან შედგება:

I. ***საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი კვლავ ორიენტირებულია ევრო-ატლანტიკურ სივრცეში მჭიდრო ინტეგრაციაზე.***
II. ***საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვექტორი მკვეთრად იხრება რუსეთთან დაახლოებაზე, შემდგომში ევრაზიულ-კავშირში ინტეგრაციის შესაძლებლობით.***

შევეცდებით ყველანაირი ემოციური შინაარსის გარეშე აღვწეროთ თითოეული ეს გეოპოლიტიკური ვექტორი და რაციონალური დასკვნები გავაკეთოთ თუ რა შეიძლება მისცეს თითოეულმა საქართველოს ყოველმხრივი სახელმწიფოებრივი განვითარების კუთხით.

უმნიშვნელოვანესი წინა პირობა ამ და ინტერესი განვითარებისათვის არის უსაფრთხო გარემო. როდესაც საუბარი მიდის უსაფრთხოებაზე, პირველ რიგში უნდა დაისვას საკითხი თუ როგორ ესმის ქვეყანას თავისი უსაფრთხოება, როგორც ვიცით ყოველივე აისახება ქვეყნის მიერ შემუშავებულ სხვადასხვა სახის დოკუმენტებში. საქართველოს შემთხვევაში ამდაგვარი ინფორმაცია მოცემულია ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში, რომელსაც ჩვენი მსჯელობისთვის ორიენტირად გამოვიყენებთ.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ასე განმარტავს საქართველოს ღირებულებებს:[18]

- სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა
- თავისუფლება
- დემოკრატია და კანონის უზენაესობა
- უსაფრთხოება
- კეთილდღეობა
- მშვიდობა

თუმცა საკითხავია რამდენად არის უსაფრთხოება ღირებულება და არა ინ ინტერესი-პირობა რომელიც შესაძლებელს ხდის ეროვნული ღირებულებების რეალიზაციას.

როგორც ვხედავთ ტერიტორიული მთლიანობა უმთავრესი ღირებულება არის, შესაბამისად როგორც ჩვენ უკვე ვიცით სტრატეგიული ფორმულაციის პროცესის აღწერიდან, იგი წარმოდგენს ორიენტირს ქვეყნის ყველა დანარჩენი სტრატეგიული ძალისხმევისათვის.

კონცეფციაში საუბარია ასევე საქართველოს ეროვნული ინტერესების შესახებ.[19]

1. სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა;
2. სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება და დემოკრატიის განმტკიცება;
3. ეროვნული უსაფრთხოების ეფექტიანი სისტემის განვითარება;
4. ეროვნული ერთიანობისა და სამოქალაქო თანხმობის განმტკიცება;
5. ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია;
6. ეკონომიკის სტაბილური გრძელვადიანი ზრდის უზრუნველყოფა;
7. ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
8. რეგიონული სტაბილურობის უზრუნველყოფა;
9. საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერება;
10. საქართველოს და რეგიონის ეკოლოგიური უსაფრთხოების;
11. უზრუნველყოფა;
12. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნული და კულტურული
13. თვითმყოფობის უზრუნველყოფა;
14. კიბერუსაფრთხოების განმტკიცება;
15. დემოგრაფიული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
16. დიასპორებთან ურთიერთობა;

როგორ ვხედავთ, ინტერესთა ჩამონათვალში პირდაპირ არის მოცემული ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია. აქ ისმევა რამდენიმე შეკითხვა: **რამდენად შეიძლება იყოს პროცესი ინტერესი? ან ხომ არ არის იგი ინტერესების მიღწევის გზა? ან როგორ კორელაციაშია იგი უმთავრეს ღირებულებებთან, როგორიც არის ტერიტორიული მთლიანობა რომელიც დარღვეულია?**

კონცეფციაში ასევე მოცემულია ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეები, რისკები და გამოწვევები. ასევე უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.[20]

ვინაიდან ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში მოცემულ არა ერთი დებულებასა და ხედვასთან მიმართებაში ახალ ხელისუფლებას განსხვავებული მიდგომები გააჩნია, აუცილებლად მიგვაჩნია კონცეფციის რევიზია, ვინაიდან ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები შეიძლება კონცეფციაში დაფიქსირებული დებულებების რელევანტური არ იყოს, **შესაბამისად დღის წესრიგში დგება კონცეფციის ასეთი ფორმით არსებობის საკითხი, განსაკუთრებით კი, მისი როგორც, საგარეო აუდიტორიასთან უსაფრთხოების თემაზე სტრატეგიული კომუნიკაციის ინსტრუმენტისა.**

გარდა ამისა, კონცეფციას როგორც დოკუმენტს, გააჩნია გარკვეული ნაკლოვანებები, როგორც საშინაო ისე საგარეო ხასიათის. ამ საკითხზე მნიშვნელოვანი კვლევაა - „საქართველო: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ეროვნული უსაფრთხოება“, რომლის ავტორია ს. ნილ მაკფარლეინი.[21]

შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხია, თუ საქართველოს სახელმწიფოს ეროვნული ძალაუფლების რა ინსტრუმენტები გააჩნია მისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და როგორ „კონდიციებში“ იმყოფებიან ეს ელემენტები.

ეროვნული ძალაუფლების ელემენტები და საქართველო

აშშ თავდაცვის დეპერტამენტის სამხედრო ტერმინების ლექსიკონში ეროვნული ძალაუფლების ელემენტები განმარტებულია, როგორც: **"ყველა ხელმისაწვდომი საშუალება ეროვნული მიზნების მისაღწევად".**[22] ჩვენი სიტყვებით, რომ გადმოვცეთ- **იგი არის სახელმწიფოს სიძლიერისა და ძალაუფლების კომბინაცია, რომელსაც სახელმწიფო იყენებს თავისი ეროვნული ინტერესებისა და მიზნების მისაღწევად.**

ძალაუფლების ელემენტები, პირობითად, იყოფა **ნატურალურ** და **სოციალურ** დეტერმინანტებად. **ნატურალური** მოიცავს: გეოგრაფია, პოპულაცია და ბუნებრივი რესურსები. **სოციალური** აერთიანებს: ეკონომიკა, პოლიტიკა, სამხედრო და სხვა. დაყოფა პირობითია და ზოგჯერ მკვეთრი ზღვარის გავლება, მათ შორის, შეუძლებელიც არის. განვიხილოთ ისინი და ვნახოთ როგორია მათი ხასიათი საქართველოს შემთხვევაში.

გეოგრაფიული ელემენტი - იგულისხმება სახელმწიფოს განლაგება, ტერიტორიის სიდიდე, საზღვრები, კლიმატი და ტოპოგრაფია – რა გავლენას ახდენს ეს ყოველივე ეროვნული უსაფრთხოების ფორმულირების პროცესზე და შესაბამისად რა დამოკიდებულება არსებობს გეოგრაფიასა და საგარეო პოლიტიკას შორის. საქართველო ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა. მისი გეოგრაფიული, გეოპოლიტიკური მდგომარეობაა ის ელემენტი, რომელიც განუზომლად დიდ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის უსაფრთხოებაზე.

დემოგრაფიული ელემენტი – იგულისხმება ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა, სტრუქტურა, ეთნიკური შემადგენლობა, განსახლება, ტენდენციები და ა.შ. რაოდენობას უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ არ წარმოადგენს ძლიერების ავტომატურ გარანტიას. ამასთან ერთად, მოსახლეობის ზრდის ან შემცირების ტენდენციას გადამწყვეტი გავლენის მოხდენა შეუძლია ეროვნულ ძალაუფლებაზე. განსახლება და ეთნიკური შემადგენლობა ასევე, ძალის მნიშვნელოვანი ფაქტორია. მაგალითად, საქართველოში ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონები ესაზღვრებიან თავიანთ ნაციონალურ სახელმწიფოებს, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან, რაც **ზღუდავს საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა თავისუფლების ხარისხს**. მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და ასაკოვანი მოსახლეობის დიდი რაოდენობა სახელმწიფოს ეკონომიკურ ძლიერებაზე მიუთითებს, მაგრამ, ამავე დროს, მწარმოებელი მოსახლეობის შედარებით დაბალი ხვედრითი წილი ქმნის ტენდენციას, რაც საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფო ძალაუფლებას მომავალში. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) 2008 წლის ანგარიშის თანახმად 2005 წელს საქართველოდან ემიგრანტების საერთო რიცხვი შეადგენდა 1,03 მილიონს.[23] ამავე წელს საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 4,47 მილიონი იყო. ემიგრაცია არ წყდება დღესაც. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ხაზს უსვამს სამშობლოში დაბრუნებულთა რიცხვის ზრდას, საქართველოს მიგრაციის შეფარდებითი დონე მაინც ნეგატიურია და მისი პროექცია დაახლოებით შეადგენს ექვსს ყოველ ათას სულ მოსახლეზე 2010-2015 წლებში. გაეროს კვლევის მიხედვით თუ საქართველოში დემოგრაფიული პოლიტიკა და სტრატეგიები არ შეიცვალა, მომავალი დემოგრაფიული პერსპექტივა ასეთია – თუ დღეს ჩვენი მოსახლეობა 4 436

400 კაცია, 2025 წლისათვის – 3,917 მლნ.-მდე, ხოლო 2050 წლისათვის – 2,985 მლნ.-მდე შემცირდება. ცალკე საკითხია ამ ცვლილებების ეთნიკური შინაარსი.

ნატურალური რესურსები - მათ უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ეროვნული ძალაუფლების ფორმირებისათვის. ეს განსაკუთრებით კრიტიკულია ომის წარმოებისა და ეკონომიკური განვითარებისათვის. ძალზედ მცირე იმ სახელმწიფოთა რიცხვი, ვინც საკმარისად ფლობს ყველა საჭირო ბუნებრივ რესურსს. ამასთან ერთად, ნატურალური რესურსების ფლობის ფაქტი არ წარმოადგენს თავისთავად ძალაუფლების წყაროს, თუკი სახელმწიფოს არ შეუძლია ეფექტურად გამოიყენოს ის. საქართველო ამ მხრივ განსაკუთრებით შეზღუდულია. მაღალია თუნდაც მისი ენერგეტიკული დამოკიდებულება სხვა ქვეყნებზე.

ეკონომიკური ელემენტი - ეკონომიკური შესაძლებლობები კრავს ეროვნული ძალაუფლების ნატურალურ და სოციალურ დეტერმინანტებს. მიუხედავად ამისა, ეკონომიკა, უფრო მეტად, სოციალურ ფაქტორებზეა დამოკიდებული (მოსახლეობის განათლების დონე, პოლიტიკური სისტემა, კანონმდებლობა, და ა.შ.), ვიდრე ნატურალურ რესურსებზე. ამასთან ერთად, ნატურალური რესურსი, თუ არ არის უზრუნველყოფილი სახელმწიფოს შესაძლებლობებით გარდაქმნას ის სხვა ძალად, შესაძლოა დამაბრკოლებელიც კი აღმოჩნდეს განვითარებისათვის. საქართველოს მზარდი საგარეო ვალი და ქრონიკული სავაჭრო დეფიციტი, ამ მხრივ განსაკუთრებით დამაფიქრებელია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ არსებული ზრდა გამყარდება, მან შეიძლება ვერ უშველოს სიღარიბისა და უმუშევრობის პრობლემას. ასევე მაღალია შემოსავლებს შორის უთანასწორობის მაჩვენებელი (ჯინის კოეფიციენტი 2007 წელს - 0.394 და 2008 წელს - 0.412 იყო).[24] მსოფლიო ბანკის მონაცემების (ქვეყნის პროფილი განახლებულია 2011 წლის თებერვალში) მიხედვით მოსახლეობის 55% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება.[25] უსაფრთხოების თვალსაზრისით, ყოველივე ამას, ის გამოხატულება გააჩნია, რომ დღეისათვის, გლობალიზაციის ეპოქაში, ასევე კრიტიკული გახდა სახელმწიფოთა ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი, რამაც სერიოზული ცვლილებები გამოიწვია ეროვნული ძალაუფლების ეკონომიკური ელემენტის ხასიათსა და რაობაში. როგორც ვხედავთ საქართველოს მდგომარეობა ძალაუფლების ამ ელემენტთან მიმართებაშიც ძალზედ მძიმეა.

პოლიტიკური ელემენტი - ძალაუფლების ეს ელემენტი ძირითადად განპირობებულია სახელმწიფო მმართველობის ფორმით და ხელისუფლების უნარით გარდაქმნას ერის პოტენციური ძმაჩვენებლები რეალურ ძალაუფლებად. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია თუ როგორ აფასებს საზოგადოება ხელისუფლებას, ან როგორი უნდა რომ ის იყოს. ეს ის საკითხებია, რომლებზეც პასუხის გაცემა ძნელია სტატისტიკის გამოყენებით, მაგრამ, ერთ-ერთი უპირველესია ეროვნული ძალაუფლების შეფასებისას. ერთი რამ აშკარაა, რომ მმართველობის არსებული ფორმა, დემოკრატიული იქნება ის თუ ავტოკრატიული, თავისი სუსტი და ძლიერი მხარეებით, სერიოზულ როლს თამაშობს ეროვნული ძალაუფლების შექმნასა და გამოყენებაში. ამ მხრივ საქართველოში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები მხოლოდ უკეთესის იმედად ყოფნის საშუალებას იძლევა.

რაც შეეხება **შეიარაღებულ ძალებს** როგორც, სახელმწიფო ძალაუფლების ელემენტს, 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის გეოპოლიტიკური შედეგები და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული სამხედრო ბაზები უმნიშვნელოვანესი საფრთხეების შემცველია საქართველოსათვის. საკითხავია რამდენად აკმაყოფილებს საქართველოს შეიარაღებული ძალები შემდეგ სახელმძღვანელო პრინციპებს (კრიტერიუმებს):

- მუდმივი თავდაცვითი უნარი; სამხედრო საფრთხეებისა და რისკების ადექვატური თავდაცვითი პოტენციალის შექმნა, შენარჩუნება და მისი განვითარების უზრუნველყოფა;
- ოპტიმალურობა, ეკონომიურობა და ეფექტურობა – გულისხმობს მოქმედი სტრუქტურების ოპტიმიზაციის გზით მოქნილი მოდელის ფორმირებას, რომელიც საშუალებას მოგვცემს უზრუნველვყოთ არსებული რესურსების მობილიზაცია და მათი ეფექტური და ეკონომიური გამოყენება.
- თავსებადობა; ჩრდილო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის უნარის შენარჩუნება და განვითარება (გაცხადებული საგარეო კურსის გათვალისწინებით);
- ინტეგრირებულობა – ქვეყნის უსაფრთხოების სისტემაში ინტეგრირება;
- ინტეროპერაბელობა - ცალკეული დანაყოფებისა და სახეობების, აგრეთვე სახალხო თავდაცვით ძალებთან ეფექტური ურთიერთქმედების უნარი;
- პარტნიორობა- ორმხრივი და მრავალმხრივი პარტნიორობის განვითარება კრიზისების მართვის, ჰუმანიტარული, სამშვიდობო და სხვა მისიების განსახორციელებლად;
- რეორგანიზაცია და მოდერნიზაცია- შეიარაღებული ძლების რეორგანიზაცია და მოდერნიზაცია მზადყოფნისა და ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნებით და მის წინაშე დასახული მიზნების და განსაზღვრული ფუნქციების შესაბამისად;

ფსიქოლოგიური ელემენტი - არსებული ტრადიციის თანახმად წარმოადგენს ეროვნული ნების, მორალური მდგომარეობის, ეროვნული ხასიათის და ეროვნული ინტეგრირებულობის რთულ ნაკრებს. ეს არის ის რამაც ბევრჯერ განაპირობა უფრო ძლიერი ეკონომიკისა და სამხედრო ძალის მქონე სახელმწიფოთა დამარცხება ბევრად სუსტების მიერ. საქართველოსა და მსოფლიოს სამხედრო ისტორიაში, მრავლად მოიპოვება ამის მაგალითები. როგორც ნაპოლეონი ამბობდა, სულიერი ძალები ისე უდრის ფიზიკურს, როგორც სამი ერთს. ასე, რომ აღნიშნული ფაქტორის მნიშვნელობა ძალზედ დიდია.

ასევე არსებობს ის სხვა ფაქტორები, რაც ლიმიტირებულს ხდის ეროვნული ძალაუფლების ელემენტების გამოყენებას. მათი არასრული სია ასე გამოიყურება:

- საერთაშორისო სამართალი და ხელშეკრულებები;
- ძალაუფლების ბალანსი;
- საერთაშორისო და საზოგადოებრივი აზრი;
- საერთაშორისო ორგანიზაციები;
- კოლექტიური უსაფრთხოება;
- შეიარაღებაზე კონტროლის სართაშორისო მექანიზმები და ა.შ.

- სიტუაცია; ეროვნული ძალაუფლების ზოგიერთი ელემენტი, ან მათი კომბინაცია, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას, ზოგიერთ სიტუაციაში;

გარდა ამისა, ეროვნული ძალაუფლება **ფარდობითია** –ის არ არის აბსოლუტური. სახელმწიფოს არ შეიძლება გააჩნდეს აბსტრაქტული ძალაუფლება როგორც ასეთი, ძალაუფლება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ საერთაშორისო გარემოსთან, ან კონკრეტულ აქტორთან, ან აქტორებთან მიმართებაში.

იგი ასევე, **დინამიურია** – ეროვნული ძალაუფლება არ არის მუდმივი, ის ცვალებადია. არც ერთი ეროვნული ძალაუფლება, კავშირი, გარემო და ყველაფერი ის რაც ძალაუფლებას განაპირობებს არ არის დაცული ცვლილებისაგან. დღეისათვის სწრაფმა ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა კიდევ უფრო გაამლიერა ეს დინამიზმი.

რაც შეეხება ეროვნული ძალაუფლების შეფასების პროცეს, არსებობს მთელი რიგი ფორმულები და მოდელები, რის მეშვეობითაც ხდება აღნიშნული კალკულაცია. ეს პროცესი მაქსიმალურად ზუსტი მონაცემების არსებობს მოითხოვს, რაც ბუნებრივია მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურების მიერ შეიძლება გაკეთდეს, ამიტომ ჩვენ ამ პროცეს გვერდს ავუვლით და მხოლოდ ზოგადად შევაჯამებთ.

ყველა ზემოთ ნახსენებ ელემენტზე ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია, რომ დავასკვნათ- **საქართველოს სახელმწიფო ძალზედ შეზღუდულია როგორც ელემენტების მაჩვენებლებით, ასევე მისი ეფექტური გამოყენების შესაძლებლობებით.**

ამ დასკვნას კიდევ უფრო ამყარებს, არშემდგარ სახელმწიფოთა ინდექსი. რომელსაც მშვიდობის ფონდი **(FFP – The Fund For Peace)** აქვეყნებს. იგი 1957 წლიდან იმ რისკების გამოვლენას ცდილობს, რომელთაც დედამიწის სხვდასხვა კუთხეში კონფლიქტების პროვოცირება, ანდა დაძაბულობის კერათა შექმნა შეუძლია. ბოლო კვლევის მიხედვით საქართველო 55-ე ადგილას იმყოფება (რაც უფრო მაღალია ადგილი, მით უფრო დადებითია ინდექსი), ისეთი ქვეყნების გარემოცვაში, როგორებიცაა: კომორის კუნძულები, ლიბია, პაპუა ახალი გვინეა და კოლუმბია.[26] აღნიშნული მდგომარეობა ფასდება როგორც შემაშფოთებელი და მძიმე ეკონომიკური მაჩვენებლების მქონე.

საბაზო პარამეტრებად თორმეტი რისკფაქტორია აღებული, რომელიც, თავის მხრივ, ათამდე ქვეფაქტორს აერთიანებს.[27] ესენია:

DP: დემოგრაფიული ზემოქმედება, იგულისხმება ბუნებრივი კატასტროფების, ეპიდემიების, გარემოს დაბინძურების, საკვებისა და სასმელი წყლის რესურსის, მოსახლეობის ზრდის, შობადობისა და სიკვდილიანობის გავლენა საელმწიფოს უნარზე დაიცვას (უზრუნველყოს) მოქალაქეები.

REF: ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ყოფნა, როგორც პოტენციური რისკი ქვეყნის შიდა უსაფრთხოებისთვის.

UED: არათანაბარი ეკონომიური განვითარება, რაც სახელმწიფოს მიერ, სხვადსხვა ეთნიკური, რელიგიური თუ რეგიონალური ჯგუფების მიმართ სოციალური კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებათა სხვადასხვანაირ შესრულებას გულისხმობს.

GG: ჯგუფური დაპირისპირებები, გულისხმობს სახელმწიფოს უნარს დაარეგულიროს (აღკვეთოს) ძალადობა საზოგადოების სხვდასხვა ჯგუფებს შორის,

რომელიც დისკრიმინაციით, ეთნიკური სიძულვილით, თუ რელიგიური შეუწყნარებლებითაა გამოწვეული.
HF: მიგრაციის დონე, როდესაც ადამიანთა და ინტელექტუალური პოტენციალის გადინება ხდება.
ECO: სიღარიბე და ეკონომიური ვარდნა.
SL: სახელმწიფო ლეგიტიმურობა, იგულისხმება კორუფციის დონე, წარმომადგენლობითი ინსტიტუტების სისუსტე, დემოკრატიულობის ხარისხი და ა.შ., რაც პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს მიერ სოციალური კონტრაქტის შესრულების ხარისხთან.
PS: სამოქალაქო სამსახურები, მათი გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა.
HR: ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა.
SEC: უსაფრთხოების სისტემის გამართულობა და მის მიერ ძალის გამოყენებაზე მონოპოლიის განხორციელების შესაძლებლობა.
FE: დაპირისპირებული ელიტები
EXT: ინტერვენციის რისკი.

თუ ამ მონაცემებს შევადარებთ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში მოცემულ ინტერესებს, ღირებულებებსა თუ საფრთხეებს, ნათელი გახდება, რომ **საქართველოს სახელმწიფოს მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს, როგორც მძიმე**.

ყოველივედან გამომდინარე უმნიშვნელოვანესი ხდება უახლოეს პერიოდში (იგულისხმება 5-10 წელი), საქართველოს სახელმწიფოს სტაბილურად განვითარების საშუალება მიეცეს, რათა მან შეძლოს ყველა მიმართულებით მაქსიმალურად გაიუმჯობესოს თავისი მაჩვენებლები. ეს თავის მხრივ გამოიწვევს **ეროვნული ძალაუფლების ელემენტების ზრდასაც,** რაც როგორც უკვე ვიცით **აუცილებელია ქვეყნის წინაშე არსებული უმნიშვნელოვანესი მიზნებისა და ამოცანების გადასაჭრელად.** ჩვენის აზრით, სქართველოს სახელმწიფოს არსებულ რეალობაში, ჭირდება გარკვეული სახის, **სტრატეგიული მოთმინების გამოვლენა** და რათა იგი მზად იყოს მომავალში იმ ცვლილებებისათვის, რომელიც ქვეყანას მისი უმთავრესი ღირებულებების რეალიზაციის საშუალებას მისცემს.

როგორც ცნობილი ჩინელი სტრატეგი, სუნ ძი წერდა: **„ის ვინც კარგად იბრძვის, ჯერ უნდა თავი დაუმარცხებელი გახადოს, ხოლო შემდეგ დაელოდოს, როდისაა შესაძლებელი მოწინააღმდეგის დამარცხება**“.[28] იგივე სტრატეგიულ მიდგომას გულისხმობს ის მაქსიმა, რასაც, ჩვენი აზრით, სქართველოს სახელმწიფოს დიდი სტრატეგია შეიძლება დაეფუძნოს.

ამ სააზროვნო პრიზმიდან საინტერესოა, როგორ ჩანს ჩვენს მიერ დასმული დილემის შინაარსი. რა შეუძლია შესთავაზოს თითოეულმა ვექტორმა საქართველოს და შეიძლება თუ არა მასზე დამყარებული, ახლო მომავალზე გათვლილი ნათელი სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხო განვითარების შესაძლებლობას.

ვექტორი პირველი - ევროატლანტიკური ინტეგრაცია

პირველ რიგში განვიხილოთ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია. ვინაიდან ალიანსის რაობა ყველასათვის მეტნაკლებად ცნობილია, მასზედ დაწვრილებით არ შევჩერდებით. ძალზედ მოკლედ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო), რომელიც შეიქმნა 1949 წლის 4 აპრილს, არის ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის 28 სახელმწიფოსგან შემდგარი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი, რომლის მიზანია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულება.

ნატო-ს ძირითადი ამოცანაა მისი წევრი ქვეყნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით. იგი იცავს მოკავშირეების დემოკრატიის საერთო ფასეულობებს, პიროვნების თავისუფლებას, კანონის უზენაესობას და უზრუნველყოფს კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებას. ნატო წარმოადგენს ფორუმს, სადაც მოკავშირეებს შეუძლიათ განიხილონ უსაფრთხოების საკითხები და ერთობლივად იმოქმედონ.

საქართველოს საჯაროდ გაცხადებული საგარეო პოლიტიკური კურსია- დასავლურ სტრუქტურებში, მათ შორის ნატოში ინტეგრაცია, რომელიც როგორც ვნახეთ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაშიც არის პირდაპირ დაფიქსირებული.

მნიშვნელოვანად მიგვაჩნია დავსვათ შემდეგი შეკითხვა- **რას ველით ჩვენ ალიანსისაგან?**

ჩვენი აზრით, პასუხი ამ კითხვაზე არის:

- ზოგადად უსაფრთხოების განმტკიცება;
- საერთაშორისო ტრიბუნას რუსეთთან სასაუბროდ ალიანსის მეშვეობით;
- ალიანსის გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ჩართვას;
- დემოკრატიული ინსტიტუტების სრულყოფაში დახმარება;
- სამხედრო აღმშენებლობაში დახმარება;
- საერთაშორისო თანამეგობრობის ღირსეული წევრობა;
- ეროვნული უსაფრთხოების ინსტიტუტების განმტკიცება;
- მეტნაკლებად მშვიდობიანი პირობებში განვითარების საშუალება;
- ქვეყნის საგარეო პრესტიჟის ზრდა;

რით შეიძლება საქართველო იყოს მიმზიდველი ალიანსისათვის და რა შეიძლება მისცეს საქართველომ ალიანსს?

- ძლიერი საექსპედიციო ძალები;
- მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ რეგიონზე გავლენის ზრდის საშუალება;
- სხვადასხვა საფრთხეების მიმართ, კონტროლირებადი ბარიერი ნატოს გარე პერიფერიაზე;
- შავ ზღვაზე კონტროლის ზრდის საშუალება;
- მნიშვნელოვან ენერგეტიკულ კორიდორზე დასავლეთის გავლენის ზრდა;

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ნამდვილად **წარმოადგენს იმ ორგანიზაციას, რომელთანაც მიმართებაში შეიძლება სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბება**. ამის რამდენიმე მიზეზია:

- მას გააჩნია საკმაო ისტორიული წარსული და პოლიტიკური ტრადიციები;
- მისი წევრობის შემთხვევაში შესაძლებელია საქართველოსთვის მნიშვნელოვან თემებზე ალიანსის წევრი ქვეყნების დამოკიდებულების რაციონალური პროგნოზირება;
- იგი წარმოადგენს ერთადერთ ალიანს რომელსაც გააჩნია უნარი გადაჭრას გლობალური მნიშვნელობის საკითხები და გააჩნია ამისთვის საჭირო ძალის ყველა ელემენტი;
- წევრი ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა დემოკრატიული სახელმწიფოებია, ზუსტად ისეთი როგორი ქვეყნის აშენებაც ოფიციალურად დეკლალირებულია საქართველოს სახელმწიფოს მიერ;
- ალიანსის თითოეული სტრუქტურა, უკვე მრავალი წლის მანძილზე გამართულად მუშაობს და მისი წევრობის შემთხვევაში აბსოლუტურად ნათელი იქნება ის მოთხოვნები რომელის საქართველოს წინაშე იარსებებს;
- ალიანსის წევრი სახელმწიფოები წარმოადგენენ ცივილიზაციური სამყაროს ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ნაწილს ტექნოლოგიური, ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით და ა.შ.

როგორც ვხედავთ, ალიანსი თავისი ბუნებიდან გამომდინარე, იძლევა საშუალებას ჩამოყალიბდეს ხედვა დიდი სტრატეგიისთვის, რომელიც რაციონალურ წარმოდგენებსა და დასკვნებს დაემყარება, რის საფუძველსაც ალიანსის როგორც ისტორია, ასევე მისი სტრუქტურა და პოლიტიკური და სტრატეგიული კულტურა იძლევა. **უმთავრესი წინააღმდეგობა არის**, ალიანსის მზაობის არ არსებობა მიიღოს საქართველო მის რიგებში.

უმთავრესი წინააღმდეგობები ამ ინტეგრაციის გზაზე შემდეგია:

- რუსეთის სამხედრო ბაზები და ოკუპირებულ ტერიტორიები;
- რუსეთის უკმაყოფილება ალიანსის ზრდასთან დაკავშირებით;
- საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტე;
- ქართული შიდა პოლიტიკის ძნელად პროგნოზირებადი ხასიათი;
- საქართველოს შიდაპოლიტიკური სირთულეები;
- ზოგადი გლობალური გეოპოლიტიკური კონტექსტი;

როგორც ბოლო პერიოდის მოვლენებიდან და დასავლეთის ქვეყნების ოფიციალური პირების, თუ მკვლევარების განცხადებების ანალიზიდან ჩანს, ***უმთავრესი დაბრკოლება ამ მხრივ ალიანსის შიგნით პოლიტიკური ნების და ალიანსის გაფართოებასთან დაკავშირებული პოლიტიკური კონსენსუსის არ არსებობა არის.*** უფრო მეტიც, ყველა ობიექტური წინაპირობით, საქართველოს ალიანსში გაწევრიანების ალბათობა უახლოეს 5-10 წლიან პერიოდში, უაღრესად დაბალია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ მნიშვნელოვანი კონტრიბუცია გასწია ალიანსის მიერ ბოლო წლებში წარმოებულ საერთაშორისო ოპერაციებში, ეს

ფაქტი **არ წარმოადგენს იმ პირობას,** რაც გარანტირებულს გახდიდა ქვეყნის ნატოში ინტეგრაციას.

ამ მხრივ გადამწყვეტი იქნება აშშ-ის როლი და დიპლომატიური ძალისხმევა დაარწმუნოს ალიანსის წევრი ქვეყნები, საქართველოს ინტეგრაციის აუცილებლობაში. თუმცა ჩვენს მიერ ნახსენებ გლობალურ გეოპოლიტიკური გარემოს და აშშ-ს მიერ გაცხადებულ პრიორიტეტებს აზიურ რეგიონში, მეორე პლანზე გადააქვს საქართველოს საგარეო პოლიტიკური საკითხები, ვინაიდან რუსეთის ფაქტორი ჯერ კიდევ დიდი მნიშვნელობის მატარებელია აღნიშნულ რეალობაში და ასეთად დარჩება ახლო და საშუალო ვადიან პერსპექტივაში.

თუ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში მოცემულ უმთავრეს ღირებულებას ავიღებთ, როგორც სტრატეგიული აზროვნების ტრადიციების განხილვისას ვნახეთ, ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფომ თავისი ძალისხმევის უდიდესი ნაწილი მისი ფუნდამენტური ღირებულებების უზრუნველსაყოფად უნდა გაიღოს. გამოდის, რომ ტერიტორიული მთლიანობის თემა კვლავაც ერთ-ერთი პირველია დღის წესრიგში საქართველოს სახელმწიფოსათვის. რეალობაში კი გვაქვს სიტუაცია, რომ ქვეყნის უდიდესი ნაწილი ოკუპირებულია, არსებობს ესკალაციის საფრთხე და ალიანსისთვის მისგან გამომდინარე ყველა შესაძლო შედეგებით. უფრო მეტიც, ***არაა გამორიცხული გართულებები წარმოიშვას საქართველოს ისეთ რეგიონებში, რომელიც ჯერ არ ითვლება ცხელ წერტილებად***.

სწორედ აქ ჩნდება შეკითხვა კონცეფციაში მოცემულ წინადადებასთან- სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა რამდენად მიღწევადი ამოცანაა საქართველოსათვის და რა კორელაციაშია ეს თემა ნატოში გაწევრიანების პერსპექტივასთან ?

გარდა ამისა, **ახლო ვადიან პერიოდში, შეგვიძლია თუ არა ტერიტორიული პრობლემის მოგვარება ქვეყნის რესურსებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე? ანდა მისი ძალისმიერი გადაწყვეტა? არის თუ არა გააზრებული ამ ღირებულების დონე, რომელიც განსაზღვრავდა ქვეყნის მიერ გასაცემი ძალისხმევის მოცულობას?**

თითოეულ ამ შეკითხვაზე პასუხის მოძებნა უმნიშვნელოვანესია სწორი, რაციონალური სტრატეგიული ხედვის ჩამოსაყალიბებლად.

ჩვენს მიერ ეროვნული ძალაუფლების ელემენტების განხილვისას ვნახეთ, რომ საქართველო უაღრესად შეზღუდულია მაში და დღეს ყველა პრობლემის გათვალისწინებით რომელიც ქვეყნის წინაშეა, **მშვიდობიანი და უსაფრთხო განვითარება გვესახება იმ უმთავრეს ინტერესად რომელიც საქართველომ ახლო ვადიან პერსპექტივაში უნდა დაისახოს ძალების მოსაკრებად.** ეს მსჯელობა, ჩვენის აზრით **შეიძლება გახდეს** საქართველოს დიდი სტრატეგიის შექმნის ერთ-ერთი საფუძველი.

ალიანსის წევრობამდე, ან პროცესის პერიოდში, ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და გაძლიერების უფრო პერსპექტიული გზა აშშ-თან **სტრატეგიული პარტნიორობა** შეიძლება გახდეს, რომელიც სტრატეგიული თანამშრომლობას გააღრმავებს და რეალურ შინაარს შესძენს. დაახლოებით იმდაგვარი, როგორიც აშშ-ს ტაივანთან ან ისრაელთან მიმართებაში გააჩნია. ეს ის ძირითადი რეკომენდაციაა, რომელსაც დრეს საქართველოს მეგობარი ქვეყნების ექსპერტები, თუ აკადემიური წრეების წარმომადგენლები იძლევიან. ამ თანამშრომლობას რეალური პესპექტივები გააჩნია, თუმცა, როგორც ნებისმიერი კომუნიკაცია, იგი ცალმხრივი ვერ იქნება და აუცილებელია ხედვებისა და

პოლიტიკური ნების თანხვედრა, როგორც საქართველოს შიგნით, ასევე მის გარეთაც, რაც ჯერ-ჯერობით სამწუხაროდ არ ჩანს.

რატომ აშშ? გარდა იმისა, რომ იგი მსოფლიოში ჯერ-ჯერობით ტექნოლოგიურად, სამხედრო პოტენციალით და ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული და ძლიერი სახელმწიფოა, საუბარი ფასეულობით კატეგორიებსაც მოიცავს. საქართველოს მიერ მის კონსტიტუციასა, თუ ეროვნულ უსაფრთხოების კონცეფციაში გაცხადებული ღირებულებები და ინტერესები, თავისი არსით მკვეთრად პროდასავლურია. შესაბამისად ამ კურსის მატარებელი ყველაზე ძლიერი სახელმწიფო აშშ-ია, რომელიც ასევე საქართველოს სახელმწიფოს უმთავრესი პარტნიორია. ბოლო წლებში საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გაუთვლელმა და არა რაციონალურმა არა ერთმა ნაბიჯმა, სერიოზული პრობლემები შეუქმნა ამ პარტნიორობას განვითარების თვალსაზრისით.

სტრატეგიული პარტნიორობის მიმართულებით, ევროკავშირის განხილვაც შეიძლება, თუმცა, მის წინაშე არსებული სერიოზული გამოწვევების, შიდა წინააღმდეგობების, არაერთ საკითხზე ერთიანი პოლიტიკური ხედვების არ არსებობის გამო, მათ შორის ევროკავშირის გაფართოებაზე და უდიდესი ეკონომიკური პრობლემები, ართულებს ახლო ვადიან პერსპექტივაში საქართველოსთან ამდაგვარი სტრატეგიული თანამშრომლობის განვითარებას. ამ მხრივ აშშ-თან არსებული წინააღმდეგობების გადალახვა გაცილებით პერსპექტიულია.

ვექტორი „ჩრდილოეთი“

მეორე საგარეო პოლიტიკურ ვექტორს პირობითად შეიძლება „ჩრდილოეთი“ ვუწოდოთ. იგი გულისხმობს რუსეთთან ახლო დაახლოებას და სტრატეგიულ პარტნიორობას ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების პერსპექტივით.

რას წარმოადგენს ევრაზიული კავშირი და როგორია მისი შექმნის წინაპირობები? კავშირის სრული დასახელება არის - **ევრაზიის ეკონომიკური კავშირი**. სუვერენული სახელმწიფოების კავშირის პროექტი, ერთიანი ეკონომიკური, სამხედრო - პოლიტიკური და საბაჟო სივრცით, რომელიც უნდა შეიქმნას რუსეთის, ბელორუსიისა და ყაზახეთის კავშირისა და დსთ-ს სხვადასხვა დარგობრივი უწყებების მჭიდრო ინტეგრაციის ბაზაზე.

სამართლებრივი საფუძველი - 2011 წლის 18 ნოემბრის დეკლარაცია ევრაზიული ეკონომიკური ინტეგრაციის შესახებ.

ერთიანი ეკონომიკური სივრცე - ამუშავდა 2012 წლის პირველ იანვარს რუსეთის, ბელორუსიისა და ყაზახეთის ტერიტორიაზე;

პირველად ევრაზიული კავშირის შექმნის შესახებ წერდნენ მე-20 საუკუნის 20-30 წწ-ში კლასიკური ევრაზიელები ნ.ტრუბიცკი, პ. სავიცკი და გ. ვერნადსკი. ისინი ამ პროცეს ხედავდნენ როგორც, საბჭოთა კავშირის ეტაპობრივ გარდაქმნას ევრაზიულ კავშირად კომუნისტური იდეოლოგიის, ევრაზიული იდეოლოგიით ჩანაცვლების გზით.

პირველი ასეთი დეტალიზირებული პროექტი სახელად- „ევროპისა და აზიის საბჭოთა რესპუბლიკების ევროპულ-აზიური კავშირი“ წარმოდგენილ იქნა საბჭოთა კავშირის დაშლის წინ აკადემიკოს ანდრეი სახაროვის მიერ, 1989 წელს.[29]

რა შეგვიძლია მივცეთ ევრაზიულ კავშირს?

- ძლიერ საექსპედიციო ძალები;
- მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ რეგიონზე გავლენის ზრდის საშუალება
- სხვადასხვა საფრთხეების მიმართ, კონტროლირებად ბარიერს ნატოს სამხრეთ პერიფერიაზე;
- შავ ზღვაზე კონტროლის ზრდის საშუალება;
- მიზერული ეკონომიკურ წვლილი;
- ფაქტობრივად იკეტება დასავლეთისათვის გასასვლელები კავკასიასა და შუა აზიაში, ასევე მცირდება გავლენა ახლო აღმოსავლეთისა და ირანის მიმართულებით;
- რუსეთი კიდევ უფრო იმყარებს მის სამხრეთ მიმართულებაზე პოზიციას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის საზღვრებთან;

რას ვღებულობთ სანაცვლოდ?

- შესაძლებელია ქვეყნის ზოგადად უსაფრთხოების განმტკიცება; **(თუმცა გადამწყვეტი ხდება, იმის გარკვევა რის უსაფრთხოებაზე მიდის საუბარი, ანუ იმის დაზუსტება რაც ჩვენ ზემოთ აღვწერეთ- უსაფრთხოების ქართული ლოგიკის განსაზღვრა)**;
- დემოკრატიული ინსტიტუტების სრულყოფას ? - **ნაკლებ სავარაუდოა**.
- სამხედრო აღმშენებლობას გაგრძელება? - **შესაძლებელია**.
- საერთაშორისო თანამეგობრობის ღირსეული წევრობას ?- **ცალსახად არა.**
- ეროვნული უსაფრთხოების ინსტიტუტების განმტკიცებას - **მხოლოდ ნაწილობრივ, გარე დამოკიდებულების ზრდისა და გარკვეული სუვერენიტეტის დათმობების ხარჯზე რაც თავისთავად კითხვის ქვეშ აყენებს ამდაგვარი პროცესის აზრს.**

- მეტნაკლებად მშვიდობიანი პირობებში განვითარების საშუალება? - **ნაწილობრივ. აქ სავარაუდოდ, საუბარი უფრო იქნება მშვიდობის შენარჩუნებაზე, ვიდრე განვითარებაზე.**
- შესაძლოა ეკონომიკურ სარგებელს;
- გაუგებარია სამხედრო უსაფრთხოების კომპონენტი;
-

კავშირის შინაარსიდან და სავარაუდო განვითარების სცენარიდან გამომდინარე, იგი მომავალში მოითხოვს საქართველოს მთავრობის სუვერენიტეტის გაცილებით მეტად შეზღუდვას, პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის შედეგად, ვიდრე ეს დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციის შედეგად მოხდება.

თუ ცნობილი რუსი გეოპოლიტიკოსის და ევრაზიული კავშირის უმთავრესი იდეოლოგის, ალექსანდრ დუგინის სიტყვებს დავეყრდნობით, საქართველოსათვის გაწევრიანება არ იქნება გარანტი მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა, უბრალოდ ეს ცნება ტრანსფორმირდება ახალ სივრცეში, რაც ევრაზიული კავშირია და შეიცვლის შინაარსს.[30]

წინააღმდეგობები რომელიც საქართველოს ევრაზიულ კავშირში ინტეგრაციის გზაზე არსებობს, შემდეგია:

- საქართველოს გაცხადებული პროდასავლური არჩევანი;
- საქართველოს შესაბამისი სტრუქტურების ევრაზიული კავშირის მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანის რთული პროცესი;
- ბუნდოვანია ორგანიზაციის მომავალი;
- ორგანიზაციის სტრუქტურების ინტეგრაციის დაბალი ტემპი;
- ორგანიზაციის საბოლოო ფორმის რთულად პროგნოზირებადი ხასიათი;
- გაურკვეველია რას ნიშნავს საქართველოს სახელმწიფოებრიობის სისტემისათვის ასეთ გაერთიანებაში შესვლა;

ბელორუსიის პრეზიდენტის ალესანდრე ლუკაშენკოს ბოლო დროინდელი განცხადებები და კავშირის კრიტიკა, კიდევ უფრო ამძაფრებს იმ ეჭვებს, რომელიც კავშირის მომავალთან დაკავშირებით არსებობს.[31] მისი განცხადებები ამყარებს საფუძვლიან ვარაუდს, რომ კავშირი თავიდან ბოლომდე ორიენტირებული იქნება რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესებისა დაცვასა და გატარებაზე. ეს ფაქტორი რადიკალურად განსხვავებულია თუნდაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსში გადაწყვეტილების მიღების დამკვიდრებულ მექანიზმებთან, თუ ტრადიციებთან.

გარდა ამისა, დღევანდელი სამყაროში ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი ნებისმიერი გეოპოლიტიკური ალიანსისათვის, ანდა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის სუბიექტისათვის, არის ის, თუ რა ფასეულობით ხასიათს ატარებს იგი და რა ფასეულობებზე დამყარებულ ურთიერთობებს სთავაზობს მის პოტენციურ პარტნიორებს. ამას **დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ქვეყნების სამოქალაქო-საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, რომელიც დიდ ზეგავლენას ახდენს მთლიანად სახელმწიფოს ყოფაზე.** დღევანდელ გლობალიზირებულ მსოფლიოში, სადაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს თითოეულ ადამიანს, ინდივიდს, აღნიშნული საკითხის მნიშვნელობა განუზომლად დიდია.

საბოლოო ჯამში, ევრაზიული კავშირის მომავალი, მისი უსაფრთხოების სტრუქტურების შინაარსი და მასში საქართველოს გაწევრიანების შესაძლო შედეგები ახლო ვადიან პერსპექტივაში ზედმეტად ბუნდოვანია, რაც არ იძლევა არჩევანის გაკეთების ნათელ საფუძვლებს და შესაბამისი სტრატეგიის ფორმულაციის საშუალებას.

რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობა, ამ ქვეყნის სტრატეგიული კულტურისა და ისტორიის გათვალისწინებით, სუვერენიტეტის გაცილებით დიდი დოზის დაკარგვას უქადის ქართულ სახელმწიფოს, ვიდრე დასავლური ვექტორის შემთხვევაში. აღარაფერს ვამბობთ უახლოეს ისტორიულ გამოცდილებასა, თუ ფასეულობით პრობლემებზე.

დასკვნა

დღეს საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები და რეალობა დღის წესრიგში სვამს ქვეყნის განვითარების ერთიანი ხედვის ჩამოყალიბების აუცილებლობას, რომელიც დაეხმარება მას, რეალური ადგილი და ფუნქცია იპოვოს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში. ჩვენს ნაშრომში მოცემულმა მსჯელობამ დაგვანახა, რომ ქვეყნის უმთავრესი ღირებულებები და ინტერესები გადასახედია და ამ პროცესში, უფრო რაციონალური მსჯელობის შემოტანაა აუცილებელი, ვინაიდან მის გარეშე ადექვატურ სტრატეგიულ ფორმულაციაზე საუბარი ძნელია.

საქართველოს ეროვნული ძალაუფლების ელემენტები, არ არის მზად მის წინაშე არსებული, თუ პოტენციური ამოცანებისა და პრობლემების გადასაწყვეტად. თითოეულის განხილვამ გვანახა, რომ საქართველოს წინაშე არსებული ამოცანების გადასაჭრელად საჭირო ძალების დაგროვებას, ქვეყნის სტაბილური, გეგმაზომიერი განვითარება ჭირდება. აღნიშნული ხედვა **შეიძლება გახდეს** საქართველოს, როგორც სახელმწიფოს დიდი სტრატეგიის შექმნის საფუძველი. განხილული საგარეო ვექტორებიდან, საქართველოსათვის ყველაზე რაციონალური და რეალური აშშ-თან სტრატეგიული პარტნიორობის განვითარება ჩანს. თუმცა ამდაგვარი კურსის განხორციელება ორმხრივ ნებასა და ძალისხმევას საჭიროებს. ასეთმა თანამშრომლობამ შეიძლება საქართველოს გაუჩინოს პერსპექტივა და საკმარისი ძალაუფლების ელემენტები, რომ იგი დაელოდოს მისთვის უფრო მომგებიანი სტრატეგიული გარემოს დადგომას, სადაც საქართველო შეძლებს თავისი უმთავრესი სახელმწიფოებრივი ინტერესების რეალიზაციას და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ეს, რომ შესაძლებელია კაცობრიობის ისტორიაც კარგად აჩვენებს, სადაც ნათლად ჩანს, რომ - **არაფერია ისე მუდმივი, როგორც ცვალებადობა.** თუმცა ცვლილებები, როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური შეიძლება იყოს, ამიტომ სათანადო მზაობის მიღწევის აუცილებლობა და ის პრობლემები, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ, ქართული სახელმწიფოს არსებულ, თუ მომავალ მმართველ ლიდერშიპს ცაიტნოტში აყენებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Carl von Clausewitz, *On War,* Michael Howard and Peter Paret, eds. and trans., Princeton, NJ: Princeton University Press, 1984, p. 132.
2. Mackubin Thomas Owens, "Strategy and the Strategic Way of Thinking," *Naval War College Review*, Vol. 60, No. 4, Autumn 2007, p. 111.
3. Thomas P. Reilly, "The National Security Strategy of the United States: Development of Grand Strategy," U.S. Army War College Strategy Research Project, Carlisle, PA, May 3, 2004, p. 14.
4. Don M. Snider, The National Security Strategy: Documenting Strategic Vision, Carlisle, PA: Strategic Studies Institute, U.S. Army War College, March 15, 1995, p. 2.
5. Walter Lippmann, *U.S. Foreign Policy: Shield of the Republic*, Boston, MA: Little Brown, 1943, p. 51, as quoted in Wolfers, p. 484.
6. გიორგი გოგაშვილი, „ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ფორმულირების დასავლური გამოცდილება და ქართული რეალობა"; ჟურნალი „სტრატეგიული კვლევები" № 2, გამომცემლობა „აკადემიური წიგნი", თბილისი 2009, გვ-67.
7. Thomas G. Mahnken, "United States Strategic Culture," Science Applications International Corporation Report, Contract No: DTRA01-03-D-0017, Technical Instruction 18-06-02, revised November 13, 2006, McLean, VA, Science Applications International Corporation (SAIC), p. 4.
8. Richard K. Betts, "U.S. National Security Strategy: Lenses and Landmarks," paper presented for the launch conference of the Princeton Project "Toward a New National Security Strategy," November 2004, p. 7.
9. გიორგი გოგაშვილი, „ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ფორმულირების დასავლური გამოცდილება და ქართული რეალობა"; ჟურნალი „სტრატეგიული კვლევები" № 2, გამომცემლობა „აკადემიური წიგნი", თბილისი 2009, გვ-65.
10. Charles M. Fergusson, Jr., "Statecraft and Military Force," *Military Review*, No. 46, February 1966, p. 70, as referenced in Deibel, p. 19.
11. John K. Bartolotto, "The Origin of the Developmental Process of the National Security Strategy," U.S. Army War College Strategy Research Project, Carlisle, PA, May 3, 2004, p. 6.
12. გიორგი გოგაშვილი, „ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ფორმულირების დასავლური გამოცდილება და ქართული რეალობა"; ჟურნალი „სტრატეგიული კვლევები" № 2, გამომცემლობა „აკადემიური წიგნი", თბილისი 2009, გვ-66.
13. Richard K. Betts, "Is Strategy an Illusion?" *International Security*, No. 25, Fall 2000, p. 6,
14. Andrew F. Krepinevich and Barry D. Watts, *Regaining Strategic Competence: Strategy for the Long Haul*, Washington, DC: Center for Strategic and Budgetary Assessments, 2009, p. 33.
15. გიორგი გოგაშვილი, „ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ფორმულირების დასავლური გამოცდილება და ქართული რეალობა"; ჟურნალი „სტრატეგიული კვლევები" № 2, გამომცემლობა „აკადემიური წიგნი", თბილისი 2009, გვ-82

16. Лиддел Гарт Б.Х. Стратегия непрямых действий. — М: ИЛ, 1957. Глава XIX, Теория стратегии
17. Colin Gray, *The Strategy Bridge: Theory and Practice,* New York: Oxford University Press, 2010, p. 17.
18. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია; გვ-1.
19. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია; გვ-3.
20. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია; გვ-2-4.
21. ს. ნილ მაკფარლეინი, „საქართველო: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ეროვნული უსაფრთხოება“; პროგრამული სტატია 2012/01; აგვისტო, 2012 წ;
22. http://www.militarywords.com/result.aspx?term=elements+of+national+power
23. International Organization for Migration, Migration in Georgia: A Country Profile 2008 (Geneva: IOM, 2008), pp. 9, 19,
24. http://data.worldbank.org/country/georgia
25. „Georgia at a Glance";
26. http://ffp.statesindex.org/rankings-2013-sortable
27. დავით თევზაძე, „სამხრეთკავკასიური გეოპოლიტიკური კვანძი: გაურკვეველი მომავალი“; 2012წ. გვ- 8;
28. http://militera.lib.ru/science/sun-tszy/01.html
29. http://www.sakharov-archive.ru/Raboty/Constitution.htm
30. http://pirweli.com.ge/?menuid=16&id=34574
31. Лукашенко жестко раскритиковал Таможенный союз и Россию